საქართველოს კულტურის, სპორტისა
და ახალგაზრდობის სამინისტრო

სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 29
16/02/2023

29-2-4-202302161737

დოკუმენტური ფილმის 2023 წლის წარმოების დაფინანსების კონკურსზე შემოტანილ პროექტთა (კონკურსი #2/5) განმხილველი საექსპერტო კომისიის შექმნის თაობაზე

,,ეროვნული კინემატოგრაფიის სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ" 2000 წლის 5 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის, ,,სსიპ - საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის საექსპერტო კომისიის დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 7 აგვისტოს #3/255 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად,

ვბრძანებ:

1.2023 წლის 16 თებერვალს შეიქმნას დოკუმენტური ფილმის 2023 წლის წარმოების დაფინანსების კონკურსზე შემოტანილ პროექტთა (კონკურსი #2/5) განმხილველი საექსპერტო კომისია 5 (ხუთი) წევრის შემადგენლობით:

ა) ალექსანდრე კობერიძე - რეჟისორი;
ბ) მარიამ ჭაჭია - რეჟისორი, პროდიუსერი, სცენარისტი;
გ) ლევან კიტია - რეჟისორი;
დ) თამთა გაბრიჩიძე - რეჟისორი;
ე) ვაჟა ზუბაშვილი - რეჟისორი;

2.გაფორმდეს შრომითი ხელშეკრულებები საექსპერტო კომისიის წევრებთან და შრომითი ხელშეკრულებით განისაზღვროს კომისიის წევრთა შრომის ანაზღაურება და ხელშეკრულების ვადა.
3. ბრძანება ძალაშია სსიპ - საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის ვებ- გვერდზე გამოქვეყნებისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. #6).

კარლო (კახა) სიხარულიძე

ELECTRONIC SIGNATURE • QUALIFIED

დირექტორი